№ 169. 14 აგვისტო, პარასკევი. 1866 — 1881 14 აგვისტო, პარასკევი. № 169.

რედაქცია

გაზეთების ბრიტანეთში. იგ. მუხრანელის სახლში ქალაქში ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში „დროებაში“ „ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში“ „ივერიის“ აგენტთან ი. ჭელიძესთან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

„დროებაში“-„ივერიის“ ფასი

წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროებაში“ და „ივერიაში“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
ცალკე „დროებაში“	9 მან.	5 მ.	3 მ.
ცალკე „ივერიაში“	7 მან.	4 მ.	2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოროშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 4 კაპ. ჩვეულებრივი ასო შთავრულით ასოზე ნახევარი კაპ. „წერილებისა“ ასოზე შეთხუდი კაპ.

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია კანონიერებს და შემოწმებულებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და უბეჭდველ წერილს რედაქცია ოთხტით კერ დუბრუნებს ბეტრს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“ „ივერიის“ აგენტთან.

კალენდარი „დროებისა“ დიარს 5 კაპ.

ამა წლის პირველ სექტემბრიდგან

გამოიცემის ქ. ქუთაისში

თავ. დიმ. ელ. დადიანის რედაქტორობით

ყოველ-კვირის საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი სახელად

„შ რ ო მ ა“

გაზეთის პროგრამა:

I სტატიები თანა მედროვე კითხვებზედ. II ტელეგრამმები. III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები. V ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა. VI შინაგანი და გარეგანი წერილები. VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი. VIII კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურაზედ. IX ფელეტონი. მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა და სხვა შენიშნვები. X ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა. XI სამსაჯულო ცნობები და შენიშნვები. XII ცნობათ-ფურცელი და განცხადებანი.—

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალის საგაზეთო ქალალდის ფურცელზედ, ხანდის-ხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლით—შვიდი მანეთი, ნახევარის წლით—ოთხი მანეთი, სამის თვით—ორი მანეთი და ხუთი შაური და ამა წლის პირველ სექტემბრიდგან მომავალის 1882 წლის პირველ იანვრამდი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემეცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. ბ. წულუკიძის სტამბაში, თფილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში, გიმნაზიისა და სათავადო ქუჩის კუთხეში.—

ქ. თფილისში: ბ. შაერდოვის გაზეთთა საგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირ-დაპირ რედაქციას უნდა მიმართონ.

გამომცემლები: თავ. დ. ე. დადიანი და დ. ა. ნაზარეთელი.

«დროების» ფელეტონი, 14 აგვისტ.

უწერას

ბათავდა თუ არა გაზაფხული, ქუთაისში ბევრმა შეიკრა ბარგი და რაჭის გზას გაუდგა. მოგეხსენებათ იქ უწერის მადნეულის წყლებია: მჟავე და რკინისა. ბევრისგან არის ნაქები ეს წყლები, და ყველანი—დიდია თუ პატარა, მდიდარი და ღარიბი,—დიდის იმედით და გულმოდგინებით მიემგზავრებიან ამ წყლებისკენ, თითქო ისინი არიან ყველა სენის სამკურნალო—უკედაველების წყაროები. სხვათა შორის მეც გავემგზავრე ამ ნეკტარის სასმელათ. ბევრი მთები, კლდეები, ხეები და ტყეები გავიარე უწერაამდისინ. ბულითადი მინდოდა დამენახა ის მშვენიერი სურათი, რომელიც მოჩანს ნაქერალას მთების მწვერვალიდამ, მაგრამ მთაზედ გადასვლის დროს საშინელი ნისლი იდგა. როგორც იყო მივედი რაჭის უეზდის ქალაქში—პაწაწა ონში. ერთობ პატარა და ღარიბი ქალაქი ყოფილა ეს ონი შენობით, ქუჩებით და დუქნებით. არავითარი ვაჭრობა, არავითარი ხალხის მოძრაობა არ მოჩანს ამ ქალაქში. ქალაქის ერთი ნახევარი ურიებს უჭირავთ, რომლებიც, როგორც ეტყობათ, მეტათ ღარიბათ სცხოვრობენ: სახლი, კარი, ეზო, ჩაცმა-დახურვა ყველას თვალნათლივ დაანახვებს იმათ სიღარიბეს და სიღატაკეს.

თუმცა ონს უჭირავს თითქმის რაჭის შუა ადგილი, სადაც რიონი და ჯოჯორა ერთდებიან, მაგრამ მაინცა-და-მაინც ონი ჩემის ჰაზრით არის დაცემული „ჩათლახი პატარა ქალაქი“. მიზეზი ონის დაცემულობისა ვითომც ის არის, რომ ქალაქი სხვაგან გადააქვთო და შენობის დაწყობა არავის არ ჰსურსო, რომ პატრონს ოხრათ არ დარჩეს ის შემდეგ ქალაქის გადატანისაო.

ონში დავრჩი თითქმის ორი დღე ჩემს მეგობართან და მეორე დღეს საღამოზედ მივედი უწერაში, რომელიც ონიდგან არის 12 ვერსზედ. უწერა, სადაც ხალხი ბინავდება, ბევრათ კარგი მეგონა, მაგრამ მოვსტყუვდი. რიონის მარჯვენივ და მარცხნივ მხარეს, უწერასთან კავკასიის მთის ტოტები ჩამოდის. მარჯვენივ მხარეს, მთის ძირში, არის პატარა ვაკე ადგილი, რომელზედაც არის დათესილი პური და სიმინდი. დათესილი ადგილის შუა გულში არის ცარიელი ადგილი, რომელზედაც სდგას 15 ფიცრული სახლი; ზოგი მათგანი შეჰდგება ორი, სამი და ოთხი ოთახისგან. აქ არის ბინა მომსვლელებისთვის. ჩემ მისვლის დროს საშინელი ვიწროობა იყო; გარდა იმისა, რომ ზოგ ოთახში ხუთი-ექვსი კაცი სცხოვრობდა, შემდეგ დღეებში იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ოთახები ველარ იშოვნეს და იძულებულნი იყვნენ იქავ შორიახლო სოფელში დაბინავებულიყვნენ. გარდა იმ ადგილისა, სადაც მომსვლელებისთვის სახლებია აშენებული, არ მოიპოვება ცარიელი ადგილი, ამისათვის აქ მომსვლელები საშინლათ შევიწროებულნი არიან. ასე რომ სასეირნოთ ფეხის გადადგმა არსად შეუძლიანთ, მით უმეტეს, რომ მთების ფერდობებზედ, ანუ გვერდებზედ სიარული შეუძლებელია, რადგანაც მეტათ დაქანებულნი არიან რიონისკენ.

მოსახლეებს შუა არის რკინის წყალი, რკინის წყლის აბანო და სასუნებელი. ეს სასუნებელი ორ ადგილას არის მიწაში ამოჩრეტილი. რომ მივიდეს კაცი და შეისუნთქოს ცხვირით ანუ პირით, იქიდგან ეცემა სუნი (газъ), რომელიც მეტათ აბრუებს კაცს. ამისთანა სასუნებელი რიონის მარცხნივ მხარესაც არის, მჟავე წყლისკენ, მხოლოდ ცოტა დაშორებით. ამბობენ, რომ ეს სასუნებელი რგებს თავის ტკივილსა და მუცლისასაო, რამდენათ მართალია, არ ვიცი. გარდა ამ წყლებისა არის კიდევ ერთ ნაირი წყალი, რომელსაც თუმცა სასმელათ არა ხმარობენ, მაგრამ ღირსია ყურადღებისა. ამ წყლისგან, რომელიც გამოდის მიწაში და არა კლდეში, კეთდება თეთრ-ყვითელი კლდე, თვით წყალი არის წმინდა, მაგრამ, როდესაც მიწისგან გამოდის, იმისგან კეთდება ქვა, კლდე, სწორეთ ისე, როგორც ზამთარში ყინული, მხოლოდ იმ განრჩევით, რომ ყინული სითბოში დნება და ამ წყლისგან გაკეთებული კლდე კი საუკუნოთ რჩება. რომ ვინმემ ჩაადგოს წყალში ქვა, ანუ ჯოხი, ანუ სხვა რამე ნივთი, რამდენიმე კვირის ანუ თვის შემდეგ ის ნახავს თავის ნივთს გაქვავებულს, ე. ი. ნივთი ნივთათ არის დარჩენილი, მაგრამ გარშემო კი გაქვავდა—შემოერტყა ქვა; გახდება ხოლმე სწორეთ ისე, როგორც ზამთარში ქვაზედ ანუ ჯოხზედ გარს-შემოერტყმული ყინული. თუ ვინმემ ჩამოჰკიდა კლდეზედ ჩხირი ისე რომ იმაზედ იდინოს წყალმა, რამდენიმე თვის შემდეგ გაკეთდება ქვის ყინული. ამისთანა ბუ-

---

ტელეგრამმები

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პარიზი, 11 აგვისტოს. არჩევანი გათავდა. 85 მონარქისტები და ბონაპარტისტებია, 398 რესპუბლიკელები. ძმათ ძოიგეს 45 ადგილი. გამბეტის არჩევანი ზოგიერთებს უკანონოთ უნდა ჩათვალონ, რადგანაც მეორე ბუჯილის მაზრაში უმრავლესობა არ ჭქონდათ.

ნიუ-იორკი, ირლანდიელების პარტიის დინამიტის რჩევის პროკლამატია ეფრთხილებს ინგლისის ბაირადიანი გემების ხმარებას, 20 აგვისტოდამ დაწყებული, რადგანაც ირლანდიელები ერთ დამეს გაანადგურებენ ყველა ინგლისის გემებს, რომლებიც სდგანან ნიუ-იორკის, გალიფაქსის, სიდნეის, ჰონკონგის, მელბურნის, კონტუკის და სანფრანცისკოს ახლო.

ბიორნ, 11 აგვისტოს. შეერთებულმა რჩევამ ადუგრძალა ემიგრანტს პეტრე კროპოტკინს შვეიცარიაში ყოფნა.

ვაშინგტონი, 11 აგვისტოს. გარფილდის ავათმყოფობას ცოტა უკეთესობა შეეტყო.

პარიზი, 8 აგვისტ. ადმორჩევების ხმების შეთანასწორების შემდეგ ადმოჩნდა, რომ მონარქისტები არიან 38, ბონაპარტისტები 42, რესპუბლიკელები 403, რომელთაც იშოვეს ახალი 58 ადგილი. 64 მაზრაში ხელახლა უნდა მოხდეს ჯენჭის-ერა.

რიგა, 12 აგვისტ. დამით დაიწვა სახერხავი ქარხანა ბერმანისა და ასამდის სხვა სახლები; ზარალი მილიონზედ მეტია.

ახალი ამბები.

როგორც მკითხველს შეუძლია დაინახოს დღეევანდელი ჩვენი გაზეთის განცხადებიდამ, ქუთაისელი ქართული გაზეთი „შრომა“ გამოვა პირველ სექტემბერს.

* * *

ბუშინ ღამ, საათის თერთმეტზე თბილისში იყო მიწის-ძვრა. ეს მიწის-ძვრა ხელ-მეორეთ დილის ოთხ საათზეც ვიგრძენით.

* * *

ბატ. ი. მეუნარგია სწერს გაზეთს „ბაკვაკაზში“, რომ წარსულს მარტში მას წარუდგენია თბილისის გუბერნატორის კანცელარიაში ორასი კაცისგან ხელ-მოწერილი პროექტი „ურთიერთ-შორის შეშწეობის საზოგადოებისა“.

* * *

გაზეთს „კავკაზში“ სწერენ შემდეგ შემთხვევას:

ქუთაისიდამ, 8 ვერსზე, სოფ. რიონში, ყოველწლივ დღესასწაულობენ ფერიცვალების დღეს, 6 მარიამობის თვეში. დიდ-ძალი ხალხი იკრიფება. თითქმის ყოველწლივ უჩხუბრათ და უომოთ საქმე არ თავდება. წელსაც მოხდა ერთი საზარელი ამბავი. აზნაური მესხის სტუმარი კონსტანტინე მღებროვი, როცა დაბრუნებულა დღესასწაულიდგან, უნახავთ მოკლული გზაზედ. მკვლელობას აბრალებენ ვიღაც დოლონაძეს, რომელიც გაეჯავრებინა, ჯირითობის დროს, კ. მღებროვს.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ მმართებლობას დაუმტკიცებია ქუთაისის მაზრის სოფ. მანდიკორის გამსესხებელ—შემნახველ ამხანაგობის წესდება.

* * *

ქუთაისის მაზრაში მდებარე სოფ. ოჯოლიდამ შემოგვჩივიან იქაურს გადაყენებულ მღვდელზედ, ვ. ქ—ნზედ. ეს სულიერი მამა მეორე წელიწადია რაც გადააყენეს მღვდლობიდამ, მაგრამ გადაყენების შემდეგაც კი არ იშლის თავის ხრიკებს. რა კი დაინახა, რომ მისი მოადგილე ახალი მღვდელი ხშირად ქადაგობს და მოძღვრის თავის მრევლს—ეს უადგილო მღვდელი მივიდა მასთან და დაემუქრა თავი დაანებე ქადაგებასა, ნუ გინდა ჩემზე უკეთესად გამოიჩინო თავი, რომელი ეპისკოპოზი ხარ რომ ჰქადაგებო და სხვ...

წერილი რედაქტორთან.

—

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულს მე-147 ნომერში არის დაბეჭდილი კორრესპონდენცია ქუთაისიდან, რომელშიდაც მისი ავტორი ბ. ზაბიჩაძე სწერს, ვითომც იმას გამოეგონოს იმისთანა საშვალება, რომლითაც დიდ მდინარე წყლის სიღრმეში წისქვილის ბორბალს ადვილათ აატრიალებს, ასე რომ ამ საშვალობით შეიძლება რიონში, მტკვარში, ან მაზე მომეტებულს და ნაკლებ წყლებში წისქვილებიც გაკეთდეს, ხეების სახერხავი ქარხნებიც და სხვა. დასასრულს სწერს, რომ სინამ ეკსპერტებისაგან, ტეხნიკებისაგან ჯერ პასუხი არ მიუღია, იმ პირთ, რომელთაც ვითომც მისი მოგონილი ნიმუში უნახავთ ისარგებლონ ამ მოგონებით, და არც გამოაცხადონ წინაღმდეგ შემთხვევაში, კანონით, მათ პასუხი მოეთხოვებათ. აღსადგენელათ სიმართლისა გთხოვთ მისცეთ ალაგი თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგომ გარემოებას: ბ. ზაბიჩაძე სრულებით უმართლოთ ითვისებს იმ საშვალების გამოგონებას, რომელზედაც ის სწერს თავის სტატიაში. ეს საშვალება საკუთარი ჩემი გამოგონილია და არა ბ. ზაბიჩაძისა.

აი რაში მდგომარეობს საქმე: მე ვცხოვრებ ხონში, სადაც მაქვს ჩემი ხელობის სამუშაო სახლი; ვარ სტოლიარი და მაქვს ბევრ ნაირი გაკეთებული მოდელები, ნიმუშები და სხ. ამ წლის აპრილის თვეში მოვიდა ჩემთან, ხონში, ქუთაისის მცხოვრები იაკობ კოკოჩოვი და მითხრა, რომ იმას აქვს ქუთაისში, რიონის პირზედ, ადგილი, სადაც სურს გააკეთოს წისქვილი, სახერხავი ქარხანა, ან სხვა რაიმე ამისთანა და რადგანაც რიონი ძლიერ ჩქარი მდინარეა, ვერ მოუხერხებია რა და მთხოვა მომეხერხებია რაიმე საშვალება. ამაზედ მე გავშინჯე ადგილი, შევიტყვე რიონის სიღრმე და მოვიგონე სწორეთ ის საშვალება, რომელზედაც იწერება ბატონი ზაბიჩაძე, გავაკეთე ნიმუშებიც ესე იგი მოდელი და მოვედი ქუთაისში მოსალაპარაკებლად კოკოჩოვთან. ქუთაისში შემხვდა ჩემი მოგვარე კაცი იოსებ ჭელიძე, რომელსაც მე ვეწვიე სახლში.—იმასაც რიონის პირზედ აქვს სახლი და ადგილი. ჩემმა მასპინძელმან მითხრა, რომ იმ ადგილზე მისი სახლის ადრინდელ პატრონს ბევრი ეწვალებია, მაგრამ წისქვილი ვერ გაუკეთებია, რადგანაც რიონს იმისთანა თვისება აქვს არავითარი წისქვილის მოწყობილება ვერ გაუძლებსო. მაშინ მე აუხსენი იმას ჩემი პროექტი, დაწვრილებით უამბე, როგორ უნდა იქნეს გაკეთებული წისქვილი და დაუხატე იქვე ქაღალდზედ პლანი ისეთ გვარათ, რომ თუ კაცს ცოტა მაინც აქვს თავში მეხსიერება, ადვილათ მიხვდებოდა ამ საშვალების მოწყობილებას და მოქმედებას. ამ ლაპარაკზედ შამოგვესწრო ერთი უცნობი კაცი, რომელიც ყურს უგდებდა ჩემს განმარტებას. ეს უცნობი პირი, რომელიც შემდეგ გამაცნეს მე, გამოდგა ბატ. ვ. ზაბიჩაძე.

ეხლა, ბატონი ზაბიჩაძე გამოდგარა და იძახის ეს საშვალება მე მოვიგონეო და აფრთხილებს ხალხს არავინ ისარგებლოს იმისი გამოგონებით, თუ პასუხის-გებაში თავის ჩავდება არ უნდათ. ეს ცოტაა; იმას განუზრახავს ამ გამონაგონზე მონოპოლიის მიღება მმართებლობისგან.

ჩემის მხრით მე ვაცხადებ: ეს ჩემი გამონაგონია; ამისთვის არც პრივილეგიას ვთხოულობ, არც ჯილდოს. ქვეყანამ ისარგებლოს ამ გამონაგონით. მაგრამ ან კი თავს რათ ვიწუხებ: მე დარწმუნებული ვარ ბატ. ზაბიჩაძე ვერც კი გააკეთებს ამ წისქვილს.

მათე ჭელიძე.

კამეტის გამო.

კამეტა, რომელმანც ბევრი ცუდი რწმუნება აღძრა ჩვენს ხალხში და რომელმაც მეტადრე დაბალი ხალხი მიიყვანა სასოწარკვეთილების სამზღვრამდის, ეხლა სრულიად აღარა სჩანს ჩვენს მხარეზედ. თავის მკრთალი სხივით, რომელსაც ვხედვიდით ჩვენ, მიგვეფარა განუზომელს ციურს სივრცეში, გამოგვემშვიდობა რამოდენიმე წლით. ეს ვარსკვლავი, როგორც თვით მკითხველებსაც მოეხსენებათ, პირველად გამოჩნდა ჩრდილოეთ დასავლეთის მხარეზედ და რამდენი ხანიც გადიოდა, იწევდა სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, კუდი, რამდენიც უბრალო შეუიარაღებელი თვალით შეიძლება შენიშვნა, დიდი არ ჰქონდა და სხივიც ნაკლები ჰქონდა იმას. საზოგადოთ, როდესაც კი ამ გვარი ვარსკვლავი გამოჩენილა ცაზედ, იმავე შემთხვევაში დედამიწის

ნების მოვლენა სხვა ქვეყნებშიაც მოიპოვება, როგორც მაგ. ალპიის მთებში.

უწერასთან ხევში ჩამორბის მყვირალა რიონი. რიონის მარცხნივ მხარეს არის მჟავე წყალი. თუმცა რკინის წყალი, როგორც ზემოთა ვსთქვი, იქვე არის, სადაც მომსვლელები სხოვრობენ, მაგრამ მჟავე წყალი კი, რომლის სასმელათ ყოველ დღე ორჯელ მაინც მიდიან ხალხი, კარგა დაშორებით არის, ასე რომ იქ მისვლამდისინ უნდება კაცსა 24 მინუტი და იქიდგან სახლამდისინ 19 მინ. ეს იმიტომ, რომ რა კი კაცი რიონის ხიდზედ გავა, მერე კარგი საგრძნობელი აღმართია.

მჟავე წყალი გამოდის კლდეში და ძლიერ ცოტაც ასე, რომ როდესაც ხერხიანათ არის გაკეთებული, ესე იგი, უდევს ღარი, რომ წყალმა იმაზედ იდინოს ოც-და-ხუთმეტ სეკუნდს, ერთი ჩაის სტაქანი ივსება. წყლის სიცოტავისა გამო აქ მომსვლელს, როდესაც ბევრი ხალხის კრებაა, დაუგვიანდება ორი სამი საათი, რომ ერგოს ხუთი ექვსი სტაქანი. წყალი საკმაო იქნებოდა, რომ ზოგიერთი კაცი ძროხასავით არ ჰსვამდეს. ბევრია იმისთანა, რომ დღეში ოც სტაქანს აჭარბებს, იმას არ დასდევს—არგებს ამდენი წყლის სმა თუ არა. ამდენ წყალსა ჰსვამენ უფრო იმიტომ, რომ სმის დროს კაცი არა გრძნობს არც მუცლის ტკივილს, არც გაბერვას და არც ცუდ-გუნებაზედ დაყენებას, თუნდა რომ დალიოს ორმოცი სტაქანი. (მხოლოდ ეს არის რომ რამდენიმე ხნის შემდეგ გააფალარათებს.) მე თითონ მნახველი ვარ, რომ ერთმა კაცმა ერთ საათის განმავლობაში ოც-და-ხუთი სტაქანი წყალი დალია.

წარსულ წლებში, გამიგია, ძლიერ უწესობა ჰხდებოდა ამ წყლის სმის დროსა; ყველა ცდილობდა ადრე დაელიენა და წასულიყო სახლში, ამის გამო ამ უწესობამ იმსხვერპლა ერთი კაცი, რადგანაც კინკლაობა მოუვიდათ იმაზედ, ვინ დალიოს პირველათო და ამაობაში ერთმა მეორეს ხანჯალი მიაგება მუცელში. ახლა კი, მართალი ვსთქვა, კარგი წესია შემოღებული. აქ მომსვლელებმა გააკეთეს ფიჩხის ფანჩატურა; ფანჩატურის ქვეშ არის შემომწკრივებული გარშემო ფიცრები, რომლებზედაც ჩამოსხდებიან ხოლმე მომსვლელები. ერთი რომელიმე დაჯდება წყალთან სტაქნების ასავსებათ და მეორეს, რომელსაც ეძახიან მერიქიფეს, დააქვს ეს სტაქნები და რიგზედ ყველას ასმევს—დიდსაცა და პატარასაც.

საზოგადოთ რომ ვსთქვა, უწერა მდიდარია წყლებით, მაგრამ ამისთანა ბუნებითი სიმდიდრე მარტო უწერას არ მიეწერება. ამისთანა მჟავე წყლები სხვა ადგილასაც იპოვება უწერის მახლობლათ კავკასიის მთებში, რომლებიც, როგორც გამიგია, უწერის წყლებზედ ნაკლები სრულებით არ არიან, მაგ. ბოლაში, რომელიც უწერიდგან არის 12 ვერსტზე და ზომში 6 ვერსტი. თუ ამ ადგილებს არ ეტანება ხალხი არა იმისთვის, რომ წყლები არ ვარგა, არამედ იმისთვის რომ ეს ადგილები მოკლებულნი არიან იმ მცირედ მოწყობილობასაც, რომელიც არის უწერაში, მაგ., ბლოლაში; თუმცა სახლები არის, მაგრამ რკინის წყლის აბანო არ იშოვნება, რომელსაც უწერაში ხალხი ძლიერ ეტანება; ზომში, თუმცა მჟავე წყალი ძლიერ კარგია, მაგრამ უწერიდგან იქამდისინ გზა ცუდია და სადგომი ოთახებიც იმის ახლო არ იშოვება.

მე არ შემიძლიან ვსთქვა, რამოდენათ აქვს გავლენა კაცის ჯანმთელობაზედ მჟავე წყალსა და რა ავათმყოფობას უფრო უხდება. ეს კი ვიცი, რომ ბევრი კაცია იმისთანა, რომ რაც უნდა სნეულობა სჭირდეს, ამ წყლისკენ მორბის, თითქო ეს წყალი იყოს ყველა ჭირის წამალი, მაგრამ ბევრიც ბრუნდება ისევ უკან თავის სენით. მართალია, მჟავე წყალი ბევრისთვის სასარგებლოა და ბევრსაც ჰშველის, მაგრამ ეს თვისება არ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ მჟავე წყალს. აქ უხდება კაცს ჰავა, თავისუფლება და ის დიეტა, რომელიც უჭირავს ავათ-მყოფს შესახებ ჭამა-სმისა. მართლაცა და კაცს არ შეუძლიან დაიჭიროს შესახებ ჭამა-სმისა ის დიეტა, რომელიც უწერაში ძლიერ ადვილი შესაძლებია, ამისათვის რომ, როდესაც კაცი სახლში არის, თავის ნათესავებს და სწორ ამხანაგებს შუა, არ შეიძლება მას არ შეჰხვდეს ანუ მჟავე, ანუ მლაშე ანუ სხვა მაწყენარი სასმელ-საჭმელი; აქ კი, მიყრუებულ ადგილას ყველაფერში თავისუფლება აქვს და მოშორებულიც არის მაწყენარ მასალებისგან, მით უმეტეს, რომ უწერაში თითქმის არაფერი იშოვნება იმისთანა. მხოლოდ ეს არის უბედურება, რომ „წიტიან“ უწერაში არავითარი მოწყობილობა არ არის. ვინც უნდა წამოვიდეს აქ, უთუოთ თან უნდა წამოიღოს ყველა ავეჯეულობა: ქვაბი, კოვზი, დანა, ჩანგალი, ქვეშსაგები, სამოვარი და სხვა და სხვ. აქ რომ ფულიც დახარჯოს, ვერაფერს ვერ იშოვნის კაცი, გარდა უხეირო ფიცრული ოთახებისა (ბევრჯელ იმასაც ვერ იშოვნის), რომლებშიც ოროლი ღირი ფიცრის მეტი არა გდია რა, ისიც დასაწოლისთვის. ფასი კი თვითო ოთახისა ორ

მცხოვრებთ, რასაკვირველია, უფრო მეცნიერებით დაბლა მდგარ ხალხში აღძრულა ათას-ნაირი ცრუ-მორწმუნეობითი ეჭვები, და ეხლაც ჩვენი თანამედროვე ხალხიც არ ჩამორჩა უკან ამ შემთხვევაში თავიანთ წინაპართ. ამათ ნაირ-ნაირ მოსაზრებასა და რწმენას სამზღვარი აღარა აქვს. გამოჩნდა თუ არა ეს ვარსკვლავი, იმავე შემთხვევაში გაისკვნა საფუძველი ჩვენს ხალხში ფანატიკობამ: ზოგი საშინელ ომებს მოელის, ზოგი წარღვნას, ზოგი ეხლანდელ წესთა დაწყობილებათა შეცვლას და სხვ. და სხვ. რამწამს დაღამდებოდა და მოახწევდა ვარსკვლავის გამოჩენის დრო, მთელი ხალხი მიაჩერდებოდა იმ მხარეს, საითაც უნდა გამოჩენილიყო კამეტა და დიდის პირჯვრის წერით და მოწიწებით შეჰყურებდენ მას. ყველა ძალიან შეშინებული იყო, ყველა საშინელ შემთხვევას მოელოდა, მათს დრტვინვას და შიშს სამზღვარი აღარ ჰქონდა და არც აქვს. კუდიანი ვარსკვლავი აღარა სჩანს ეხლა, მაგრამ მისგან აღძრული ფანატიკობა და მძიმე შიში კი თან-და-თან ძლიერდება ჩვენს ხალხში. არც ერთს დროს, როდესაც ამ გვარი ვარსკვლავი გამოჩენილა არ ყოფილა ხალხი ისე დაფრთხობილი და შეშინებული, როგორც ახლაა; ესენი, თითქო უეჭველი საბუთი ეკავოთ ხელში, მტკიცეთ დარწმუნებული არიან, რომ ქვეყნის დასასრულმა მოახწია, მეორეთ მოსვლა უნდა მოვიდეს ამ მოკლეს დროში, ხალხი უნდა მოისპოს, დედა-მიწაზედ წყალმა უნდა დაფაროს ქვეყანა, ეს ვარსკვლავი მისი წინა-მორბედი არისო და სხვ.

გონება გაუხსნელ ხალხს რაღა უნდა უზრახოთ მაშინ, როდესაც ბევრ ისეთ პირებს, რომლებიც თავის-თავს გონება გახსნილს უწოდებენ, დაუფთხო ძილი ამ ვარსკვლავმა და დასცურევენ შიშის მორევში. ხალხის თვით მოსაზრებულს კუდიანი ვარსკვლავის შედეგ მოელინებაებს, და მათ ფანტაზიურ მოლოდინს, ხალხის ტვინში, შერყეული სიმართლის ბეჭედი დაასვა ამერიკელი ვარსკვლავთ-მრიცხველის გამოცხადების გაგონებამ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, საყოველთაოდ აცხადებს რომ 12 ნოემბერს ის კუდიანი ვარსკვლავი, რომელიც ჩვენს მხარეზედ გამოჩნდა, ჩამოვარდება, დაეტაკება ჩვენს დედამიწას და მტვრად აქცევს, სრულიად ქვეყნიერობასო. ეს ხმა მოგეხსენებათ ელვასავით მოეფინა ჩვენს მხარეს ერთსა და იმავე დროს, როდესაც ხალხი უამისოთაც სასო-წარკვეთილი ძრწოლით შეჰყურებდა ამ ვარსკვლავის შედეგს. მართალი უნდა გითხრათ, ამ კომეტის გამო ჩვენმა და მის გამო დაყრილმა ხმებმა ძალიან ცუდი გავლენა იქონია ჩვენს ხალხზედ მათს ზნეობითი, და მატერიალურს მხარეებზედ.

მუშაობაზედ გული აუცრუვდა ხალხს ჩვეულებრივად მხიარულად და გულს მოდგინეთ აღარ გამოდის ჩვენი მუშა ხალხი თავის სახლიდამ სამუშაოდ. ყველასაგან ერთსა და იმავე სიტყვებს გაიგონებთ: რაღა საჭიროა ვიმუშაოთ, ვიმეცადინოთ, შევკრიბოთ რაიმე მაშინ, როდესაც ქვეყნის დასასრულმა მოახწიაო, დღეს თუ არა ხვალ მაინც ქვეყანა უნდა დაიქცესო, რაღათ გვინდა რაიმეო და სხვა. დედა-კაცები და ბავშვები ხომ სულ შესაბრალის სურათს წარმოგვიდგენენ, ამათ ილაჯი გაწყვეტილი აქვთ შიშისაგან. კარგა ხანია, რაც ამ გვარ მოუსვენარ მდგომარეობაში არიან ჩვენი დაბალი ხალხი, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაუჩნდა კაცი ამ საცოდავ ხალხს, რომ ეს უსაფუძვლო შიში გაუქროს, ეს ძლიერი სულის შესფოთება დაუმშვიდოს, დაარწმუნოს როგორმე, რომ არც ერთი იმათგანი, რომლებთაც ხსენებული ხალხი მოელის, არ მოხდება.

რომ ამისთანა ვარსკვლავები ქვეყნის დაარსებიდამ დღემდის მრავალჯერ გამოჩენილან სხვა-და-სხვა მხარეებზედ, და ბევრჯელაც გამოჩნდებიან კიდევ, მაგრამ არც ქვეყანა დაქცეულა და არც სხვა რაიმე შესანიშნავი უბედურება მომხდარა დედამიწის ზურგზედ. ჩვენის აზრით, როდესაც, რომელიმე შემთხვევისა გამო ხალხში ამ გვარი ცრუ და მავნებელი ხმები გავრცელდება და, როდესაც ხალხის უმრავლესობა მიიღებს დარწმუნებას ამ გვარი ხმების სინამდვილისას, მაშინ პირ-და-პირი მოვალენი არიან მაზრის უფროსები, და ადგილობრივი მღვდლები, რათა მიიღონ საჭირო ზომები და მეცადინეობანი ხალხში ამ გვარი ცრუ მორწმუნეობის მოსასპობელად, უნდა ექადაგონ ხალხს, რომ ყველა ის დარწმუნებანი, რომელიც მათ ამ საგნის შესახებ მიუღიათ—არის უსაფუძვლო, რომ არც ერთი მათი ფანატიკური მოსაზრებანი არ აღსრულდებან; [illegible] თარი საიჭვო [illegible] არა არის-რა და სხვა. და ამ ნაირის საშუალებით გამოიყვანონ ხალხი იმ შეძრუწუნებულ მდგომარეობიდამ, რომელშიაც ისინი არიან ჩაცვენილნი. განსაკუთრებით მღვდლებს შეუძლიან დიდი შემწეობა მისცენ ხალხს, თუ კი მოინდომებენ ადვილად გაუქრობენ ამ ეჭვებს თავიაეიანთ სამწყსოს, თორემ თუ ეხლავ არ ვეცადეთ ხალხის დამშვიდებას, იმ შემთხვევაში ჩვენი მუშა ხალხი ისეთს მდგომარეობაში არის ეხლა რომ საკმაო ზარალს უნდა მოველოდეთ...

მოგეხსენებათ ეხლა ისეთი დროა, როდესაც მთელი წლიური ნაშრომი უნდა შეიკრიბოს და თუ ამისთანა დროს ხალხს სიცოცხლის იმედი დაეკარგა და ენერგია მიუსუსტდა, ცხადია, რომ კარგს არას უნდა მოველოდეთ. ამისათვის მიგვიქცევია მაზრის უფროსების და ჩვენი სულიერი მამების ყურადღება ამ საგანზედ. ხუმრობა საქმე როდია ამ გვარ დროს ხალხის ხელის მოშვება, წელს ღვთის მადლით ვენახი და ყანები კარგა ბლომად დასაჩუქრებას გვიქადიან და რა ხუმრობაა ამ გვარმა ცრუმორწმუნეობამ მოუვლელობის გამო დაგვიკარგოს ეს ამდენი მოსავალი.

ქაიხოსრო გელოვანი.

თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

ორშაბათს. გავრანსკი — ექიმი ბებიაობისა და ქალების ავათმყოფობისა;

აბაზიდგან სამ აბაზამდისინ არის დღეში. თუმც არის ორი ჩათლახი დუქანი, ერთათ მიტკუცულები, მაგრამ იმეებშიაც ისე არა იშოვნება რა ხანდის-ხან, როგორც გაკოტრებულ პარაპეტას ჯიბეში. არის იმეებში მხოლოდ სამთელი, არაყი და წყალ-წყალა ღვინო. პურს მხოლოდ ერთ დუქანში აცხობენ, ისიც ნახევარი ცომია, ფასი კი ღმერთმა შეინახოს: სწორეთ სეფისკვრის ტოლა პური შაურათ არის, ხორცი ყოველ დღე არ იშოვნება დუქანში, რადგანაც არა ჰკლენ, ამისათვის მომსვლელები ყიდულობენ ცხვარს ანუ ბატკანს და იმასა სჭამენ. თუ ვისმე ჰსურს რძე, ყველი, ქათამი, კვერცხი და კარაქი ამაებსაც დუქანში ხშირათ ვერ იშოვნი, უნდა მიჰმართოს სოფლისკენ. აქ შეიძლება იშოვნოს, რომ ფეხი არსად გადადგას, შეშა და ბალახი, ისეც ქალიშვილებისგან (იმერეთში გასათხოვარ ქალს დიდია, თუ პატარა, ქალი შვილს ეძახიან) იშვიათათ დაინახავს კაცი, რომ სხვა რამე შემოიტანონ აქა. გასაოცარია აქაური ქალების და დედა-კაცების მხნეობა და მუშაობა: იმათ დააქვთ ზურგით შეშა, ბალახი, წისქვილში დასაფქვავი სიმინდი, ისინი მკიან ყანას, სდგამენ ათეულებათ და ლეწავენ. არა მგონია, რომ ზემო რაჭაში კაცს უმეტესი შრომა ჰქონდეს, ვიდრე დედა-კაცს. მე არა მქონია შემთხვევა, რომ კარგათ გამეგო,—თუ კაცები რას აკეთებენ, მხოლოდ ზოგიერთისგან შემიტყვია, რომ ზამთარში ზემო რაჭის სოფლებში იშვიათად მოიპოვება კაცი. ისინი სულ გასულნი არიან სხვა და სხვა სოფლებში და ქვეყნებში სამუშაოთ და იქიდგან აძლევენ შემწეობას თავის ოჯახს. მხოლოდ დედა-კაცებიღა დატრიალობენ სოფლებში, ყურადღების ღირსია აქაური ქალების დედა-კაცების ტან-საცმელი: შიგნით აცვიათ გრძელი, კოჭებამდისინ დაშვებული ხამის პერანგი, პერანგ ზემოთ გულ ამოჭრილი ახალუხი (თუ ცივა) მუხლებამდისინ, ახალუხზედ აცვიათ ჩოხის კაბა, პერანგზედ მოკლე და კალთებ ჩაჭრილი. ასე რომ თუ უნდა კალთებს ჩაუშვებს, თუ არა და იმის წვერებს აქეთ-იქით სარტყელში გაიბნევს და ისე დაიარება. თავზედ ჰხურამს ლეჩაქი მაგვარი მოსახვევი, შუბლზედ წაკრულ თავსაკრავით. კაცების ტანისამოსი ფორმით თითქმის ბევრით არ განირჩევა სხვა ქართველ ხალხის ტანისამოსისგან. საზოგადოთ ჩაცმა დახურვა აქაურ ხალხს, გარდა თავად-აზნაურობისა, სულ უბრალოა, მაგრამ ჭუჭყიანი და ბინძური. უქმე დღესაც არ მინახავს უწერაში ფაქიზათ და კეკლუცათ ჩაცმული არც კაცი და არც ქალი.

ცხოვრებისა და ზოგიერთ ზნეობის მხრის შესახებ შემიძლიან ვთქვა რამდენიმე სიტყვა, ისიც შესახებ უწერლებისა და ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებლებისა, რადგანაც ქვემო ნათქვამი სიტყვები არა მგონია, რომ ყველა რაჭის მცხოვრებლებს მიეწეროს. ბევრი მაგალითია, რომ ერთი კუთხის ხალხი რომელიმე ქვეყნისა ანუ ადგილისა ბევრის მხრით განირჩეოდეს მეორე კუთხისაგან, მაგ., მე დარწმუნებული ვარ რომ ქვემო რაჭა, იმერეთისკენ მდებარე კუთხე ცოტათი თუ ბევრათ უნდა განირჩეოდეს ზემო რაჭიდგან. ერთ დიდ თვისებას არიან მოკლებულნი ზემოხსენებული მცხოვრებლები: ეს სისუფთავეს, სიფაქიზეს ცხოვრებაში—ოჯახში. მართალია, ჩვენ საქართველოს დაბალ ხალხში ეს საზოგადო სენია, მაგრამ ეს საზოგადო სენი უფრო გაზვიადებულია უწერლების და მის ახლო მახლო სოფლებში. სახლში, ეზოში გარეთ არავითარი სისუფთავე არ სუფევს; ყველა ამეებში არის სიმყრალე ნაგვისა და საქონლის უწმინდურობისაგამო. თუმცა ხალხი შეძლებულია ფულით, როგორც იტყვიან ხოლმე რაჭველები: ისეთი რა ყაზახი უნდა იყოს, რომ 1000 მან. მაინც არა ჰქონდეს, მაგრამ მაინცა-და-მაინც ბევრნი არ არიან დაცილებულნი ამ ჭირს. მართლაცა და რაჭველი ხალხი, საზოგადოთ, არ უნდა იყოს ღარიბი. თუ ის არის ღარიბი მიწის ნამუშევრით, მაგრამ ნაცვლად ამისა მისთვის ღმერთს მიუნიჭებია სხვა თვისება, რომლითაც იგი იძენს სიმდიდრეს. ეს ისა, რომ რაჭველი კაცი არაფერს არ თაკილობს, ყველაფერს ხელს ჰკიდებს, ყველას შვდენულობს, ყველას ეტანება, ოღონდკი გამორჩეს რასმე. ქ. ქუთაისშიაც მინახავს მეკურტნე რაჭველი, რომელსაც გამოჩენილ უქმე დღეებში დაუნებებია კურტნისთვის თავი,—რადგანაც ამ დღეებში გამორჩომის იმედი არ ჰქონია,—აუღია სტვირი, ამოუჩრია იღლიაში გაბერილი გუდა და უვლია კარიდგან-კარზე, რომ ქების შესხმით და არსენას ლექსის მოთქმით გროშები იშოვნოს. შემდეგ უქმეებისა წამოუკიდნია ზურგზედ კურტანი და შესდგომია თავის ჩვეულებრივი საქმეს. ეს კიდევ არაფერი, საქმე იმაშია, რომ, რაც უნდა შეძლებული იყოს რაჭველი, ისე დაცემულია იმის თავმოყვარეობა, რომ თხოვნა და ღაღრეჯა სათაკილოთ არ მიაჩნია.

ა. ბენაევი.

გორალეგიჩი და ლისიტოვი—შიგნაგან ავათმყოფობისა; როტინიანტი—ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა, ბაბაევი სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა; შტემბორსკი გენერიულ დატუაისგ ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირუგიული ავათმყოფ.; რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათმყოფობისა; პეტროვსკი—გენერიულ ავათმყოფობისა,

ოთხშაბათს. კრასნოგორიადოვი და ლისიტოვი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანტი და შტემბორსკი—რიფილიტიკური და ტუაკის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს გავრონსკი—ბებიაობისა და ქალების ავათმყოფ.; **როტინიანტი**—ქალებისა და უმაწვილების ავათმყო.; ბაბაევი ძარღვების სისუსტისა და ელეკტრო-ტერაპიისა ლისიტოვი და პეტროვსკი შინაგან ავათმყოფობისა; ქიუჩარიანტი 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის.

პარასკევს. მინკევიჩი—სირუგიულ ავათმყოფობის; ბასუტოვი—ბებიობისა, ქალებისა და უმაწვილების ავათყოფობისა; კრასნოგლიადოვი, ლისიმოვი და ვერმიშოვი—შინაგან ავათტყოფობისა; შტემბორსკი — გენერიულ. და ტუაკის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიტოვი — შინაგან ავათმყოფობის. რეიხი—თვალების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; ქიუჩარიანტი 2-რე—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა.

ობრუსტი — კბილის ავათმყოფებს, მიიღებს თავის სახლში მუდამ დრეს ღარიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. **იქვე იყიდება: ბარუსინა** 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—3)

თბილის ქალაქის გაგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 სეკტემბრიდამ ქალაქში იხსნება **შვიდი პირველ დაწყებითი სასწავლებლები,** სადაც სწავლა იქნება, დედა-ენაზედ: რუსულზედ ქართულზედ და სომხურზედ. მისაც ამ სასწავლებლებში ყმაწვილების დანიშნვა ჰსურთ, მოიწოდებიან შემოიტანონ დოკუმენტები (დაბადების და ყოველის აცრის მოწმობა) ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ შუადღემდის. **თხოვნის ქალალდები** საჭირო არ არის, ამისათვის არის დამზადებული უპრავაში ბლანკები. (4—1)

ვექილი სასამართლო საქმეებში

პ. ო. ბელედინსკი

ბადავიდა ალოოესკის ქალის სახლებში, ინტენდანტოს გვერდით. (5—3)

ნაფიცი ვექილი

სერგეი ვასილიევიჩი

ჩემესოვი

ბადავიდა ალსენალის ქუჩაზე, „კრუოკის“ უკან, ბარბუნოვის სახლებში. (5—5)

ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალდერეაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი		ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.		— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „		— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „		— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „		— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „		— 2 „ 50 კაპ.
ბაუკეთესო 2 მანეთ.		— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქადალდოა, სხვაგან კი ქადალდით. (100—26)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იუიდოს ჩაი, ჰირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. უველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა ძალაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქადალდოთ და უტუვიოთ. (100—22)

ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: ბარუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—11)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი **იოანნისიანთან** (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

ლონდონის მაღაზია კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, ჯოხებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქადალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უსაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩიკინი ზეთისა) და სხვ. საუკეტო მაკინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად კასტუტების და ბატჯერის და კამბ. მურაბისა, აგრეთვე ჩუდქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭკვანას გიარები. (100—8)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამოსაღები ეკვანი ეკ-ფას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასშობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—14)

ახლად მიღებული

დიდ ძალი რიცხვი თოფებისა, რევოლვერებისა, სასროლებისა, პირველ მოკრეფილ ჩაისა, ბაკლებისა და სხვ. **თოფები** ჩოკ ბორ (*chôke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ 120 მან. ბულ-დოგის **რევოლვერები** 11 მან. 700 **კრავატები** 5 მანეთიდამ 40 მა-მდის. **აქვე** ისყიდება პარუსინა ნახევარ ფასად და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (12—9)

მიუხედავათ იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: ჯონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინანგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქადალდოთ.

ინგლისური **რევოლვერები** 4 მ.—40 მანეთამდინ და **თოფები** 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საუკეტო ბარხანის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრანის რომელთაც დაიმსახურეს ბარიკის მსოფლიო გამოფენაზედ ოქრის მენდალი. **გირვანქა** არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხეულების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—90)

ტფილისს ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ძუთაისს გერარდის** წიგნის მაღაზიაში ისყიდება

საამწერლო

თაიგული

შედგენილი და **გამოცემული** ილია ჭავჭავაძისგან. **შინაარსი:** I **ბაბუას თხრობა** (ლექსი) მ. ფაზელისა, II **უბედური შემთხვევა** (ამბავი) ჭ—სა, III **ჩემს სურათებზე** (ორი ლექსი) მ. ფაზელისა, IV **ძ...სადმი** (ლექსი) ბ—სა, V **ფერი ფერს**—**ძადღი ღმერთს** სამ-მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან, VI **ჩიგიდი ხვედრისადმი** (ლექსი) რაფიელ ერისთვისა, VII **ხასიათის** გაგლენა სამეულ სმაილსისა, VIII **უკითხავი ბასუხი** (ლექსი) ნ. დ—სა, IX **ახალი მოგლინება ჩვენს ლიტერატურაში** და X **მტარვალების** (ლექსი) აკაკისა

ფასი თითო წიგნისა ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

ცენტრალ-წიგნის მაღაზიაში ბულვარზე და გრიქუროვის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურზე, ბაღის პირდაპირ:

ალექსანდრე

ჭავჭავაძის

ლექსები

ნაწილი პირველი.

ფასი ექვსი შაური.

იქვე ისყიდება:

ლექსნი ნიკ. ბარათაშვილისა. ფასი ერთი აბაზი.

ანტონოვის თხზულებანი. ფასი ერთი მანეთი.

ძართული ანდაზები. ფასი ორი შაური.

მეფე ლირი, ტრაგედია შექსპირისა, თარგმნილი ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძისა. ფასი სამი აბაზი.

გრიგოლ ურბელიანის ლექსები. ფასი ექვსი შაური.

დავითიანი (ბურამიანი), თქმული დავით ბურამის შვილისა. ფასი ერთი მანეთი.

ქაცია-ადამიანი, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ფასი ორი აბაზი.

ტაძცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 აგვისტოდამ 15 აგვისტომდის.

ბამომცხვარი პური:ხორბლის ფქვილის:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

იმავე ფქვილ. თორნეში ბამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	6 კ.
მეორის „	—1 გირ.	4½

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის.ლავაში	1 ვირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5½
მესამის „ „	—1 გირ.	5 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	9 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 კ.
მეორის „	—1 გირ.	12 კ.

ეს ტაქცია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაედნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი